# სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №2

**2023 წლის 6 თებერვალი**

**ქ. სამტრედია**

**„სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

**მუხლი 1**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №22 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებპორტალი, 21/12/2021 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.120.016382) შეტანილ იქნეს ცვლილება.

**მუხლი 2**

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №22 დადგენილების დანართი №1 და დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **ნუგზარ ჯამბურია**

***დანართი №1***

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობა**

| იერარქიული რანგი | თანამდებობათა დასახელება | თანამდებობრივი სარგო | საშტატო რიცხოვნობა |
|---|---|---|---|
| **საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები** | | | |
| | საკრებულოს თავმჯდომარე | 4961 | 1 |
| | საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე | 3751 | 1 |
| | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე | 3267 | 2 |
| | საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე | 2662 | 5 |
| | ფრაქციის თავმჯდომარე | 2420 | 2 |
| | ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | 1936 | 9 |
| **პოლიტიკურ თანამდებობის პირთა რაოდენობა** | | | **20** |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| **საკრებულოს სტრუქტურული ერთეულების პროფესიული საჯარო მოხელეები.**<br><br>**საკრებულოს აპარატი** | | | |
| I რანგი | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი | 2420 | 1 |
| III რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საორგანიზაციო საკითხებში) | 1452 | 4 |
| III რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში | 1452 | 1 |
| III რანგი | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში) | 1452 | 1 |
| III რანგი | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საორგანიზაციო საკითხებში) | 1331 | 2 |
| | სულ: | | 9 |

*დანართი №2*

## სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობა

| N | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხა | | სარგო (ლარი) |
|---|---|---|---|
| 1 | საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი | 1 | 1100 |
| 2 | მძღოლი | 1 | 1430 |
| 3 | დამლაგებელი | 1 | 570 |
| | სულ: | 3 | |